

დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2022 წლის ___ თებერვლის
N_____ ბრძანებით

შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტის შეფასება ხდება - 1 - 10 ქულის ფარგლებში შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. მოტივაცია (ფასდება კონკურსანტის სამოტივაციო წერილი):
2. აქტიურობა (CV / ფასდება - კონკურსანტის კვალიფიკაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საგანმანათლებლო, სპორტულ თუ სხვა ნებისმიერი მიმართულებით მიღწეული წარმატებები (ჯილდოები, სიგელები...), სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა / ინიცირება, გამოცდილება და ა.შ.):
3. ზეპირი დავალება / სიტუაციური ამოცანა;
4. გასაუბრება.

კონკურსანტების შეფასება პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებაში, განხორციელდება სამოტივაციო წერილისა და CV / ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ხოლო მესამე და მეოთხე პუნქტებთან მიმართებაში - უშუალოდ, კომისიის შეხვედრაზე, პირდაპირი კომუნიკაციის ფორმატში.

1. მოტივაცია::

დაინტერესების მიზეზი
არგუმენტები, თუ რატომ შეესაბამება
პირადი ან/და დარგობრივი უნარები
სხვა მნიშვნელოვანი და სასარგებლო არგუმენტები / მოტივაცია

- ნაკლები მოტივაცია - 1 – 3 ქულა;
- საშუალო მოტივაცია - 4 – 7 ქულა;
- მაღალი მოტივაცია - 8 – 10 ქულა.

2. აქტიურობა (CV / ფასდება კონკურსანტის კვალიფიკაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საგანმანათლებლო, სპორტულ თუ სხვა ნებისმიერი მიმართულებით მიღწეული წარმატებები (ჯილდოები, სიგელები...), სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა / ინიცირება, გამოცდილება და ა.შ.):

კვალიფიკაცია
გამოცდილება
მიღწევები, მონაწილეობა პროექტებში, ინიციატივები
სხვა მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაცია

- ნაკლები აქტიურობა - 1 – 3 ქულა;
- საშუალო აქტიურობა - 4 – 7 ქულა;
- მაღალი აქტიურობა - 8 – 10 ქულა

3. **ზეპირი დავალება** / სიტუაციური ამოცანა

დავალების სწორად გაგება და გააზრება
არგუმენტაცია / დასაბუთება და კანონმდებლობის (სფერო/მიმართულება) გამოყენება / ცოდნა

შეფასება	ზოგადი დავალება (სიტუაციური ამოცანა) - შეფასების კომპონენტები
1 ქულა	დავალება შესრულებული არ არის; კანდიდატმა ვერ გამოავლინა საკითხების ელემენტარული ცოდნა;
2 ქულა	პასუხი არასრული და არაზუსტია; გამოყენებული ტერმინოლოგია ძირითადად მცდარია და არაადეკვატური; შესრულების/ცოდნის დონე დაბალია;
3 ქულა	დავალბის შესრულება დაწყებულია არსებითი ხასიათის შეცდომებით; გამორიცხა დავალბაზე შემდგომი მუშაობა და დავალბის შესრულება; შესრულების/ცოდნის დონე დაბალია;
4 ქულა	დავალბის შესრულება არასრულია და დაუსაბუთებელი; შესრულების შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია; შესრულების/ცოდნის დონე არაადამაკმაყოფილებელია;
5 ქულა	დავალება შესრულებულია ნაწილობრივ და ხარვეზებით; დასაბუთება მწირია, არ ჩანს კანონმდებლობის სათანადოდ გამოყენება; შესრულების/ცოდნის დონე არაადამაკმაყოფილებელია;
6 ქულა	შესრულება ზოგადი ხასიათისაა და შეკვეცილი; შესრულებისას დაშვებულია არაარსებითი ხასიათის უზუსტობები; შესრულების/ცოდნის დონე ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია;
7 ქულა	განალიზებული და შესრულებულია დავალბის ძირითადი ნაწილი; დავალბის ანალიზი და მსჯელობა თანმიმდევრულია; შესრულების/ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია;
8 ქულა	შესრულება არგუმენტირებულია და დასაბუთებულია; შეუძლია სათანადო მოსაზრების გაკეთება და დაცვა; შესრულების/ცოდნის დონე კარგია / აკეთებს სწორ დასკვნებს;
9 ქულა	დავალება კვალიფიციურად და სრულყოფილად შესრულდა; მსჯელობს და აანალიზებს არგუმენტირებულად და ლოგიკურად; ცოდნის დონე მაღალია / აკეთებს სწორ დასკვნებს;
10 ქულა	შესრულება ამომწურავი და იდეალურია; ლოგიკურად და დასაბუთებულად მსჯელობს და აყალიბებს დასკვნებს; ფლობს/იყენებს კანონმდებლობას, გააჩნია სიღრმისეული ცოდნა.

4. **გასაუბრება**

(„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“; საქართველოს კონსტიტუცია თავი პირველი. **ზოგადი დებულებები თავი მეორე. ადამიანის პირითადი უფლებები**; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. **თავი III მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება**)

გამართული მსჯელობა / დამაჯერებელი საუბარი
დისკუსიის, ანალიზის და დასკვნების დასაბუთების უნარი

შეფასება	გასაუბრება (კომპეტენცია, მოტივაცია, უნარ-ჩვევები) - შეფასების კომპონენტები
1 ქულა	ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებზე; ვერ მონაწილეობს დისკუსიაში;
2 ქულა	უჭირს დასმულ შეკითხვებზე პასუხი და აზრის ჩამოყალიბება; უჭირს დისკუსია, არ შეუძლია საკითხებზე მსჯელობა;
3 ქულა	კანდიდატს შეუძლია მხოლოდ მწირი ინფორმაციის სწორად გადმოცემა; უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს და ტერმინოლოგია არსებითად მცდარია;
4 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები ნაკლოვანი და არაზუსტია; განმარტებები შეუსაბამოა;
5 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები შეკვეცილია, უჭირს ანალიზი; ნაკლებად აქტიურია, მოსაზრებები და არგუმენტაცია არასრულია; განმარტებები არასათანადოა;
6 ქულა	შეუძლია დასმულ კითხვებზე პასუხი, მაგრამ უჭირს მსჯელობა; უჭირს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების წარმოჩენა; განმარტებები არასრულია;
7 ქულა	გააზრებით პასუხობს დასმულ კითხვებს, ერთვება დისკუსიაში; მსჯელობს ლოგიკურად, შეუძლია არგუმენტირება და აზრის დასაბუთება; კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება დამაკმაყოფილებელია;
8 ქულა	ანალიზებს, ასაბუთებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს; ერთვება დისკუსიაში, მსჯელობს ზუსტად და ლოგიკურად; კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება კარგია;
9 ქულა	სრულად და კონკრეტულად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; შეუძლია თავის წარდგენა, დასკვნების ლოგიკური და არგუმენტაცია; აქტიურად ერთვება დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება მაღალია;
10 ქულა	ლოგიკურად და ამომწურავად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; აქტიურად ჩართულია დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; შეუძლია მოსაზრებების დასაბუთება და არგუმენტირებული დაცვა; კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება მაღიან მაღალია.

საბოლოო შედეგები განისაზღვრება კომისიის წევრის მიერ, თითოეული კონკურსანტის შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ხოლო რეკომენდაცია გაეწევა იმ კონკურსანტებს, რომლებიც ჯამურად მიიღებენ მაქსიმალურ ქულათა (40 ქულა) - არანაკლებ 70 პროცენტს (28 ქულას და მეტს).

კონკურსატების შეფასების ცხრილი

№	კონკურსანტის სახელი, გვარი	მოტივაცია	აქტიურობა	ზეპირი დავალება	გასაუბრება	ჯამური ქულა
	1.	2.	3.	4.	5.	6.
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						
7.						
8.						
9.						
10.						
11.						
12.						
13.						
14.						
15.						
16.						
17.						
18.						
19.						

სამუშაო ჯგუფის წევრი:

თარიღი: